აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო

ირ. მალაზონია

სერგო ბოლქვაძე

სახელმწიფო გამომცემლობა
ბათუმი - 1957

აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირ. მალაზონია

სერგო ბოლქვაძე

დაბადების 70 წლისთავისა და პედაგოგიური
მოღვაწეობის 50 წლისთავის გამო

სახელმწიფო გამომცემლობა
ბათუმი-1957

მეორე გამოცემა
თბილისი
2019 წ.

რედაქტორი **ს. ვადაჭკორია**
ტექრედაქტორი **თ. დიდიძე**
კორექტორი **შ. დარჩია**

* * *

გადაეცა წარმოებას 1957 წლის 17 მაისს, ხელმოწერილია დასაბეჭდად 24 მაისს, ქაღალდის ზომა 84X108, 1,5 საბეჭდი, 1 სააღრიცხვო, 1,1 სააღრიცხვო საგამომცემლო ფორმა, დაკვეთა №3317, ემ 00612, ტირაჟი 2000.

* * *

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფსამმართველოს ბათუმის სტამბა-ლიითოგრაფია.
(ქ. ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).

სერგო ონოსიმეს-ძე ბოლქვაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემ შვილიშვილს პატარა მადონას

მაგ შენს გულში ჩაინერგე
შრომისადმი სიყვარული,
კარგი სწავლით ბეჯითობით
დაიმკვიდრე სიხარული.

როს ჩვენამდე მოიხარო
ნუ გექნება სინანული,
გახსოვდეს რომ ძნელ გზაზედაც
შეძლო მედგრად სიარული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო განათლების დაწესებულების სერგო ბოლქვაძის დაბადების 70 წლისთავისა და პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავისათვის 1957წ. ბათუმში ჩატარდა იუბილე და ირ. მალაშხიასმიერ პატარა წიგნად გამოცემულ იქნა მისი ბიოგრაფიული ცნობები და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მასალები.

აჭარა-გურიაში მრავალმხრივი მიმართულებით მოღვაწე სერგო ბოლქვაძე, ჩვენი აზრით, გახლავთ ამ მხარის ილია ჭავჭავაძე. სერგოს თითქოს ბავშობიდანვე აწვალებს პედაგოგიური იდეები და ვერ ურიგდება რა ძველი სკოლის რეჟიმს. თანასკოლელებთან ერთად მონაწილეობს 1905 წლის საგაფიცვო მოძრაობაში. ხონის სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1907 წელს ინიშნება მასწავლებლად ჩოხატაურის რაიონის სოფ. ჯვარცმაში (ერკეთი), ხოლო 1930 წლიდან აგრძელებს მუშაობას ბათუმის საშუალო სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად. პედაგოგიური მოღვაწეობის კიბეებზე თანდათანობით ადმასვლით მისგან დგება ამ საქმის არა მხოლოდ საუკეთესო პრაქტიკოსი, არამედ თეორეტიკოსი. სერგო ბოლქვაძე ავტორია მეთოდიკის თემაზე შექმნილი უამრავი წერილისა, რომლებშიაც გატარებულია ნოვატორული იდეები. ასევე რევოლუციამდელ წერილებში თავდაუზოგავად იცავს იაკობ გოგებაშვილისეულ პედაგოგიურ პრინციპებს. აღსანიშნავია, რომ რუსული ენის მასწავლებელ ს. ბოლქვაძეს ეკუთვნის თვალსაზრისი თვალსაჩინოების გამოყენების აუცილებლობისა ბუნებისმეტყველების სწავლებაში. სერიოზული ყურადღება მიაპყრო მოსწავლეთა ესთეტიკური აღქმის გამომუშავებისათვის ექსკურსიების მოწყობის აუცილებლობას. დიდ როლს ასრულებდა მასწავლებელთა კორპორაციის მუშაობაში. დიდი მუშაობა გასწია სწავლებაში ქალების ჩაბმის საქმეში. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობის დროს,მას მუდმივი კავშირი ჰქონდა სტუდენტებთან, როგორც რუსული ენის ლექტორს.

ყველაზე მნიშვნელოვანი რაც სერგო ბოლქვაძის ბიოგრაფიაში ბრწყინვალეს, გახლავთ მაინც ის, რომ ეს პიროვნება ასრულებს დიდი თეატრალის როლს აჭარა-გურიის ცხოვრებაში, გვევლინება რა ამ ფრონტზე არა მხოლოდ თავკაცად, არამედ როგორც რეჟისორად, ისე მსახიობად. დიდი მოწონება დაიმსახურა მისი თაოსნობით დადგმულმა პირველივე წარმოდგენამ, კერძოდ, ვ. გუნიას დრამამ - „და-ძმა". 1913 წელს ჩოხატაურში ლადო მესხიშვილის საიუბილეო საღამოზე დადგმულ სპექტაკლში „კრეჩინსკის ქორწინება". ს. ბოლქვაძეს წილად ხვდა ბედნიერება ეთამაშა იუბილართან ერთად. ეს მოვლენა ისტორიაში შევიდა, როგორც სათეატრო კულტურის დღესასწაული. მაღალი შეფასებას აძლევდა ს. ბოლქვაძის საზოგადოებრივ მოღვაწეობას ცნობილი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი. მიიჩნევდა რა მას „კეთილშობილი ინტელექტის" მქონე პიროვნებად.

ჩვენი აზრითაც ს. ბოლქვაძე ეკუთვნის იმ სახელოვან ქართველ მოღვაწეთა რიცხვს, რომელთაც წინ მიჰყავდათ ჩვენი ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებო ცხოვრება და გადაჭარბებად არ მიგვაჩნია აჭარა-გურიის ილია ჭავჭავაძედ მისი გამოცხადება; რამეთუ იგი იყო პედაგოგი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, პუბლიცისტი, თეატრალიც და მრავალი ნოვატორული იდეის ავტორი, ასევე ჯანსაღი სული ჯანსაღ სხეულში.

დიდი პატივისცემით ნარგიზა თოდრია
ფილოლოგი
12/XII, 2018 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხახალხო განათლების იმ ღვაწლმოსილ მუშაკთა შორის, რომლებმაც ჩვენში ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის უმძიმეს პირობებში დაიწყეს მუშაობა და ფართო სამოქმედო ასპარეზი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჰპოვეს, საპატიო ადგილი უჭირავს სერგო ონისიმეს-ძე ბოლქვაძეს.

ს. ბოლქვაძე დაიბადა 1887 წლის 10 მარტს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჯვარცმაში (ამჟამად ჩაისუბანი), გლეხის ოჯახში. სწავლამოწყურებული ბავშვი ადგილობრივ ორკლასიან სასწავლებელში არ მიიღეს იმ მოტივით, რომ იქ უკვე სწავლობდნენ მისი უფროსი ძმები; ერთი ოჯახიდან კი რამდენიმე ბავშვს არ ღებულობდნენ. მაგრამ სერგო არ უშინდება ამ დაბრკოლებას. ის ძმების დახმარებით შინ სწავლობს წერა-კითხვას და შემდგომ ახერხებს ჯვარცმის სამრევლო სკოლაში შესვლას, საიდანაც მალე გადადის ორკლასიან სასწავლებელში.

პატარა სერგო გამოირჩეოდა ბეჯითობით და სწრაფი მოსაზრების უნარით. 1902 წელს სოფლის მესამე განყოფილებაში სწავლობდა, სკოლის შემოწმებისას მომზადების მაღალი დონე გამოუმჟღავნებია და მაშინელი სახალხო სკოლების ინსპექტორის კონსტანტინე მაჭავარიანის[1] განკარგულებით აპრილში მესამე განყოფილებიდან მეოთხეში გადაუყვანიათ, ხოლო სასწავლო წლის ბოლოს მეხუთე განყოფილებაში გადასულა.

1 კ. მაჭავარიანი—გურია-აჭარის მესამე რაიონის სახალხო სკოლების ინსპექტორი, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. მის კალამს ეკუთვნის შრომა – „Бедственное положение учителей“.

ამ შემთხვევის გამო მისი ყოფილი თანაკლასელი - ექიმი ი. ბასილია იგონებს:

„1902 წელს ჯვარცმის სკოლაში მოვიდა ერთი წარმოსადეგი კაცი... თურმე ის იყო სახალხო სკოლების ინსპექტორი მაჭავარიანი. მასწავლებელი სიმონ სილიბისტროსძე ჭანიშვილი ასწავლიდა მე-3 და მე-4 განყოფილებას ერთად. ჯერ დაიწყო ჩვენი, მე-3 განყოფილების შემოწმება, გაკვეთილად გვქონდა კრილოვის „Крестьянин и змея". ... გაკვეთილი ყველამ კარგად იცოდა. შემდეგ გამოსცადეს მე-4 განყოფილება. მოსწავლეებმა ვერ უპასუხეს ინსპექტორის მიერ დასმულ კითხვებს. მაშინ მესამე განყოფილებიდან თითი აიშვირა სერგო ბოლქვაძემ და დასმულ კითხვებზე მშვენივრად მიუგო. მაჭავარიანმა კმაყოფილებით გადახედა სიმონს, სიმონმა – სერგოს. ინსპექტორმა იქვე ბრძანა, რომ ბოლქვაძე გადაესვათ მეოთხე განყოფილებაში. მეორე დღეს, როცა სკოლაში მივედი, სერგო მეოთხე განყოფილებაში იჯდა!" (აჭარის ასსრ სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე № 192, გვ. 8).

1903 წლის ივნისში ს. ბოლქვაძემ წარჩინებით დაამთავრა ჯვარცმის ორკლასიანი სასწავლებელი და ამავე წელს შევიდა ხონის (ახლანდელი ქ. წულუკიძე) ექვსკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში.

ხელმოკლეობა მას დიდად უშლიდა სწავლაში. ის ორიოდე გროში, რომელსაც მშობლები უგზავნიდნენ, სწავლის ქირას უნდებოდა. ამიტომ მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს ფიზიკურად მუშაობდა და აღებული ფულით ირჩენდა თავს. ასეთი შევიწროებული პირობების მიუხედავად, ს. ბოლქვაძემ ხონის სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა 1906 წელს. სპეციალური გამოცდის ჩაბარების შედეგად მიენიჭა ორკლასიანი სკოლის მასწავლებლის წოდება და 1907 წელს დანიშნულ იქნა ჯვარცმის ორკლასიანი სასწავლებლის მასწავლებლად.

ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს სერგო ბოლქვაძე ვერ ურიგდებოდა ძველი სკოლის რეჟიმს. ამიტომ ხონის სასწავლებელში ყოფნისას ორჯერ დაისვა მისი გარიცხვის საკითხი. უკვე გონებაგახსნილ ახალგაზრდას პირველი სერიოზული დავა მოუვიდა გალობის მასწავლებელთან, რის გამოც მიიღო მკაცრი გაფრთხილება – გარიცხვით დაემუქრნენ.

1905 წლის გაზაფხულზე მასწავლებელ ილია ბახტაძის[1] გავლენით იგი მონაწილეობას ღებულობს საგაფიცვო დემონსტრაციაში. ამის შესახებ ს. ბოლქვაძე მოგვითხრობს: „1905 წლის გაზაფხულზე, როცა რევოლუცია მოედო მთელს ჩვენს ქვეყანას და გაფიცვები გახშირდა, ჩვენც ჩაგვაბეს ამ საქმეში. ერთ საღამოს ილია ბახტაძე და კიდევ რამდენიმე ამხანაგი გვესაუბრა და წინადადება მოგვცა,გავფიცულიყავით, დემონსტრაცია გაგვემართა... მე დავალებული მქონდა მარიამის სასწავლებლის გამოყვანა. ამ მიზნით დავუკავშირდი მოსწავლე ე. იმნაძეს. მეორე დღეს ყველა სკოლა გამოვიდა“ (აჭარის ასსრ სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე № 192, გვ. 31).

როცა მოძრაობა ჩააქრეს, სერგო ბოლქვაძე არ დაუშვეს სკოლაში, შემდგომ ის აღადგინეს სასტიკი გაფრთხილებით.

1907 წლის პირველ სექტემბერს სერგო ბოლქვაძემ პირველად შეაღო ჯვარცმის ორკლასიანი სასწავლებლის კარები, როგორც მასწავლებელმა. აქ ის მოიწვია ადგილობრივმა მოსახლეობამ. მაშინდელი წესის მიხედვით, მასწავლებლის ხელფასი გლეხობას უნდა გადაეხადა, რაც უკმაყოფილებას იწვევდა სოფლის მცხოვრებთა ერთ ნაწილში.

„ყველა გადასახადს მასწავლებლის ჯამაგირს ეძახდნენ,

---

1 ი. ბახტაძე იყო პროგრესული იდეების მატარებელი მოღვაწე. თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში „შანთის“ ფსევდონიმით.

– მოგვითხრობს ს. ბოლქვაძე და დასძენს, – ჯვარცმის სასოფლო საზოგადოების ყრილობაზე სოფლის ხარჯზე მასწავლებლის მოწვევის საკითხი ირჩეოდა. ბევრი გლეხი ამას მხარს უჭერდა, ზოგი კი წინააღმდეგ გამოდიოდა. მათ შორის იყო სოფრომ ჩიგოგიძე, რომელმაც სიტყვა ითხოვა. ამ ენაბლუ, მაგრამ გონებამახვილმა კაცმა კარგად დაასაბუთა გლეხების სიღატაკეჩამოთვალა ყველა გადასახადი და ბოლოს თქვა, რომ „უჩიტლის ფულიც“ ჩვენ უნდა გადავიხადოთო. „...რამდენი ბატონი მოეთრევა აქანე, იმდენს „კარხმალიან“ პერანგს ვერ შეუკერავს სოფრომიო“ (აჭარის ასსრ სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე № 192, გვ. 27, 27).

13 წელს მასწავლებლობდა ს. ბოლქვაძე ჯვარცმის ორკლასიან სასწავლებელში. ამ ხნის განმავლობაში მან დაიმსახურა საუკეთესო მასწავლებლის სახელი. ის ენერგიულად ზრუნავდა მომავალი თაობის წესიერად აღზრდისათვის და ამ მიზნის მისაღწევად არ ზოგავდა თავის ცოდნასა და უნარს, რითაც დიდი ავტორიტეტი და სიყვარული დაიმსახურა როგორც მოსწავლეთა შორის, ისე მშრომელ მოსახლეობაში.

ჯვარცმაში ს. ბოლქვაძე 1919 წლამდე დარჩა. ამ წელს იგი მიიწვიეს ხიდისთავის (ჩოხატაურის რაიონი) უმაღლესდაწყებითი სკოლის მასწავლებლად. ხიდისთავის სკოლის გამგემ მას გაუგზავნა სპეციალური მიმართვა:

„ამით გაუწყებთ, რომ თქვენ არჩეული ბრძანდებით მასწავლებლად ჩემდამი რწმუნებულ სასწავლებელში. გთხოვთ ხვალიდანვე გამოცხადდეთ“.

ერთი წლის შემდეგ ს. ბოლქვაძე ხიდისთავის უმაღლესდაწყებითი სკოლიდან გადაიყვანეს ჩოხატაურის უმაღლესდაწყებით სკოლაში, სადაც იმუშავა 1922 წლამდე.

გურიაში მოღვაწეობის დროს ს. ბოლქვაძეს საქმიანი კავშირი ჰქონდა აჭარასა და საქართველოს სხვა კუთხეებში მომუშავე მასწავლებლებთან. მასთან ახლო ურთიერთობაში

იყვნენ ქ. ბათუმში მცხოვრები პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ჯაყელი[1], ცნობილი პედაგოგი, ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის პროგრესულ შეხედულებათა დამცველი, ლუარსაბ მოცვაძე და სხვ.

1922 წელს ნ. ჯაყელი ხერგოს სამუშაოდ იწვევს ქალაქ ბათუმში. ამ მიზნით გაგზავნილ დეპეშაში იგი ს. ბოლქვაძეს სწერს: „თქვენისთანა ერთგული და საქმის მცოდნე გვჭირდება ახლა ჩვენ აქ, ბათუმში, გთხოვთ გვეწვიოთ“.

ს. ბოლქვაძე იღებს ამ მიწვევას, გადმოდის ბათუმში სამუშაოდ და ინიშნება ბარცხანის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად. ამავე დროს მუშაობს მეორე ქართული ლეგიონის უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე.

ს. ბოლქვაძე ნათლად ხედავდა, რომ მომავალი ცხოვრების შენება შეუძლებელი იყო განათლების გარეშე, მაგრამ რევოლუციამდეკლი უკულმართი ცხოვრების პირობები არ აძლევდა საშუალებას, ეზრუნა უმაღლესი განათლების მიღებაზე. ეს სურვილი მან აისრულა ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ; დაუსწრებლად დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, მიიღო საშუალო სკოლის რუსული და ქართული ენებისა და ლიტერატურის

---

1 ნ. ჯაყელი დაიბადა 1862 წლის 1 იანვარს გურიაშიჯოფულ საყვავისტეში. ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის კურსის დასრულების შემდეგ შეეიდა თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტში, რომლის კურსი წარმატებით დაამთავრა 1884 წელს. ამავე წელს განწესებულ იქნა მასწავლებლად ქალაქ შუშაში. სულ მალე ნ. ჯაყელი გადმოდის ქ. ბათუმში და ცნობილი ხდება, როგორც დაუღალავი საზოგადო მოღვაწე. ყოველგვარი კულტურული წამოწყების ენთუზიასტი. 90-იან წლებში, როცა ბათუმის მოსახლეობა გიმნაზიის გახსნას ითხოვდა, ნიკომ მისთვის ჩვეული ენერგიით მიიღო მონაწილეობა ამ საქმეში. გიმნაზია გაიხსნა და ნ. ჯაყელი იყო ამ გიმნაზიის ინსპექტორი. ყველაზე მეტი ნაწილი მისი ხანგრძლივი მოღვაწეობისა ბათუმზე მოდის (ს. ცაიშვილი, გაზ. „ახალი განათლება“, 1947 წელი, 7 აგვისტო, № 32, გვ. 4).

მასწავლებლის კვალიფიკაცია.

1930 წლიდან ს. ბოლქვაძე მუშაობს ბათუმის № 15 არასრულ საშუალო სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად, 1934 წელს კი ინიშნება ქალაქ ბათუმის განათლების განყოფილების ინსპექტორად, საიდანაც 1941 წლის მაისში გადაყვანილ იქნა აჭარის ასსრ განათლების კომისარიატში სასკოლო ინსპექტორად. აქ მან 1952 წლამდე იმუშავა.

განათლების კომისარიატში, შემდეგ კი სამინისტროში მისი მუშაობა მეტად ნაყოფიერი იყო. იგი დადიოდა აჭარის შორეულ სოფლებში, ამოწმებდა და ეხმარებოდა სკოლებს. იმ წლებში ხულოსა და ქედის რაიონებში მთელი რიგი სოფლები რაიონულ ცენტრებთან არ იყო დაკავშირებული კარგი გზებით. ერთი სკოლიდან მეორე სკოლაში გადასვლისას სასკოლო ინსპექტორებს უმეტესად ფეხით უნდა გადაელახათ მთები და ხევები. ს. ბოლქვაძე მათ შორის ყველაზე უფრო ხანდაზმული იყო, მაგრამ ფიზიკური ჯანმრთელობისა და ახალგაზრდული ენთუზიაზმის წყალობით ყოველთვის ალპინისტივით მიუძღოდა წინ თანამოსაქმეებს.

„ხშირად გვიხდებოდა 20-25 კილომეტრის ფეხით გავლა ამ მაღალმთიან რაიონებში. – იგონებს სილოვან დადუნაშვილი, რომელიც მაშინ სერგოსთან ერთად მუშაობდა აჭარის განათლების კომისარიატში. – სერგო ყოველთვის იმეორებდა: „ასეთი სიძნელე ვერ შეასუსტებს ჩემს სიყვარულს ამ საქმისადმი“. რაიონის სკოლების მასწავლებლები მოუთმენლად ელოდნენ სერგო ბოლქვაძის სტუმრობას, რადგან ამ სტუმრობას თან ახლდა საქმიანი დახმარება და ისეთი საკითხების გარკვევა, რომლისთვისაც მიმოწერა არ არის საკმარისი“ (აჭარის ასსრ სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე № 192, გვ. 1).

1946 წლიდან დღემდე იგი მუშაობს შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენის მასწავლებლად.

ინსტიტუტის რუსული ენის კათედრის მიერ შედგენილ დახასიათებაში, სხვათა შორის, ნათქვამია:

„ს. ო. ბოლქვაძე ცნობილია, როგორც უაღრესად დიდი გამოცდილების მქონე პედაგოგი და მეთოდისტი, მთელი რიგი მეთოდური წერილების ავტორი და ქართულ სკოლაში რუსული ენის სწავლების შესანიშნავი სპეციალისტი“ (აჭარის ასსრ სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე № 192, გვ. 13).

ს. ბოლქვაძე განსაკუთრებულ გულისხმიერებას იჩენს ახალგაზრდა მასწავლებლებისადმი, რაგდან კარგად ახსოვს, როგორ უძნელდებოდა მას, დამწყებ მასწავლებელს, პედაგოგიური ოსტატობის დაუფლება მაშინ, როდესაც არ ჰყავდა დამხმარე და ხელმძღვანელი. იგონებს რა თავისი მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდს, კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მან დამოუკიდებელი მუშაობით დიდი ენერგიის დახარჯვის შედეგად შეძლო ყოველგვარი სიძნელის გადალახვა.

ახალგაზრდა მასწავლებელ ს. ბოლქვაძის წინაშე მალე დაისვა იმ დროს სკოლებში გამეფებული მეთოდების შეცვლის აუცილებლობის საკითხი და ყოველგვარი ნებართვის გარეშე გადადგა ნაბიჯი ამ მიმართულებით; სხვა მოწინავე მასწავლებლებთან ერთად ლევიცკის მუნჯური მეთოდი შესცვალა სწავლებაში თვალსაჩინოების ფართოდ გამოყენებით. ლევიცკის მეთოდის უვარგისობა ს. ბოლქვაძემ ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს იგრძნო და, როცა პედაგოგიურ ასპარეზზე გამოვიდა, შეგნებულად გაემიჯნა მას.

ს. ბოლქვაძე დიდი სიყვარულით ეკიდებოდა მშობლიური ენის სიწმინდის დაცვის საქმეს. ის მოითხოვდა სწავლების მოწყობას დედაენაზე ისეთ რთულ ვითარებაში, როცა არათუ სწავლება, არამედ სკოლებში ლაპარაკიც კი აკრძალული იყო მშობლიურ ენაზე. ეს ის პერიოდია, როცა მასწავლებლებს შორის გაჩაღდა წახნაგანება, დასმენა პირადი კარიერის მოპოვების მიზნით, რასაც მე-20 საუკუნის 20-იან წლებში მეთაურობდა სახალხო სკოლების ინსპექტორი ტერ-

გასპარიანცი. აი მაგალითიც: 1912 წელს ტერ-გასპარიანცმა ზაფხულში მოაწყო გურია-აჭარის მასწავლებელთა კურსები. ამის შესახებ ჟურნალ „განათლების“ კორესპონდენციაში ნათქვამია: „კურსების გახსნისთანავე გასპარიანცმა ყურები გამოგვიჭედა: მეო, ბრძანა, თქვენთვის თავდადებული ვარ, ეს კურსები მე გავხსენი, რომ თქვენ რამე შეგძინოთ. მე ძალმიძს ჯამაგირი მოგიმატოთ, რასაც მალე ავასრულებო; ძლიერ მეცოდება მასწავლებლები, ნამეტნავად ცოლშვილიანებიო და სხვ. გულუბრყვილო მასწავლებლებს სიხარულისაგან თვალებზე ცრემლი მოადგათ (რასაკვირველია, მე მხედველობაში მყავს უმრავლესობა). რაკი დაინახა მასწავლებლების მორჩილება, ხმას აუწია და განაგრძო: „ოღონდ ეს კი გახსოვდეთ, მთავრობა თქვენ ცუდის თვალით გიყურებთ, მეტადრე გურიის მასწავლებლებს, ამიტომ კურსებზე კარგად გაისარჯეთ, ქართული არ წამოგცდეთ, თუ გინდათ, თქვენი საქმე კარგად წავიყვანო, ხომ გესმით, რაც გითხარით“... (ჟურნალი „განათლება“, 1921 წ., № 6-9, გვ. 711-712).

ს. ბოლქვაძე მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლაში სკოლის კედლებით არ იფარგლებოდა. ამ საკითხზე გაზეთებში სისტემატურად იბეჭდებოდა მისი სტატიები და კორესპონდენციები. 1913-1914 წლებში გაზეთმა „ალბიდამ“ მოათავსა ს. ბოლქვაძის ვრცელი წერილი დედაენის სწავლების შესახებ. გაზეთის რედაქტორი ია ეკალაძე აღფრთოვანებული იყო ამ წერილით.

შემდგომ პერიოდში ს. ბოლქვაძის აქტიური მონაწილეობით გამოვიდა სპეციალური ჟურნალი „სკოლა და ოჯახი“, რომელშიაც მოწინავე პედაგოგები ავითარებდნენ პროგრესულ პედაგოგიურ აზრებს, მოითხოვდნენ მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღებას და სხვ.

მართალია, ამ ჟურნალის გამოცემა მალე შეწყდა, მაგრამ მისმა დამაარსებლებმა თანამშრომლობა დაიწყეს გაზეთში „ჩვენი ერი“. ს. ბოლქვაძემ ამ გაზეთში გამოაქვეყნა სტატიები

„ს. ბ.-ძის“ „ს. გურულის“ და „სარქისას“ ფსევდონიმებით. ეგი საქმიანად აკრიტიკებდა არსებული სახელმძღვანელოების ავტორებს და ებრძოდა მათ, ვინც დევნიდა ქართულ ენას.

ს. ბოლქვაძემ გაზეთ „იმერეთის“ 1912 წლის 25-ე ნომერში გაილაშქრა იმათ წინააღმდეგ, რომლებმაც „...წინადადებით მიმართეს სახალხო სკოლების უფროსს – გამოცვალონ სკოლაში სახმარებელი სახელმძღვანელო იაკობ გოგებაშვილის „Русское слово“ და მის ნაცვლად რუსულის შესასწავლად სხვა ავტორის სახელმძღვანელო შემოიღონ“ (ჟურნალი „განათლება“, 1921 წ., № 6-9, გვ. 710).

ს. ბოლქვაძე რუსული ენის შესწავლას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და ასაბუთებდა, რომ რუსული ენის დაუფლება უნდა მოხდეს დედაენის ცოდნის საფუძველზე. ცოდნის სიმტკიცისა და შეგნებულობის მიღწევისათვის იგი მოითხოვდა დედაენისა და რუსული ენის კანონებისა და წესების შეპირისპირებას. თავისი აზრის დასაცავად ს. ბოლქვაძემ 1915-1916 და შემდგომ წლებში გაზეთ „მეგობარში“ გამოაქვეყნა მთელი რიგი წერილები, რომლებშიაც გადაჭრით მოითხოვდა რუსული ენის სახელმძღვანელოს გადამუშავებას.

სერგო ონისიმეს-ძე ბოლქვაძის პედაგოგიური მოღვაწეობის ადრინდელი პერიოდი – ეს არის სწავლების დარგში ძიების პერიოდი. 1909 წელს, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მასწავლებელი, გაეცნო ლევ ტოლსტოის მეთოდებს ჟურნალში „Яснополянская школа“. ტოლსტოის გავლენით მან ფართოდ გამოიყენა მოსწავლეთა ე.წ. თავისუფალი აღზრდის მეთოდი. მასწავლებელი ბავშვებს ნებას აძლევდა „ყოველგვარი ნებართვის გარეშე გასულიყვნენ საკლასო ოთახიდან, როდესაც მოესურვებოდათ“. მაგრამ დაკვირვებამ დაარწმუნა, რომ ეს მეთოდი ვერ ამართლებდა.

ს. ბოლქვაძემ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ე.წ. გუნდური კითხვა-პასუხის მეთოდის დამუშავების საქმეში. პრაქტიკამ მას დაანახა ამ მეთოდის არასრულყოფილობა და მასში

გაბედულად შეიტანა მთელი რიგი ცვლილებანი. თავდასი შეხედულების შემუშავებისას იგი მტკიცედ ეურდნობოდა იაკობ გოგებაშვილის იდეებს. ამის შესახებ ს. ბოლქვაძე მოგვითხრობს: „ჯერ საფუძვლიანად შევასწავლიდი ლექსს ან არაკს,ან გუნდურად სათქმელ წინადადებას,გავამეორებინებდი ძლიერ მოსწავლეს, შემდეგ – საშუალოს და როდესაც ყველაზე სუსტი მოსწავლე შეძლებდა გამეორებას, ყველას ვათქმევინებდი გუნდურად, რაც ხელს უწყობდა ცოდნის განმტკიცებას... საგნისა და მოქმედების ჩვენებას მივმართავდი ფართო თვალსაჩინოებისათვის... სწორი წარმოთქმა,რომელიც მუშავდებოდა თვალსაჩინოების გამოყენებით, ხელს უწყობდა სწორი ორთოგრაფიული ჩვევების გამომუშავებას. ამ გზით მდიდრდებოდა მოსწავლეთა მეტყველება. ენის კულტურის ამაღლებისათვის მდიდარი მასალა იყო ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ (აჭარის ასსრ სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე № 192, გვ. 27-27).

საკუთარ თავზე სისტემატურმა მუშაობამ, თავისი სპეციალობის სიყვარულმა, მასში, როგორც ახალგაზრდა მასწავლებელში, გამოიმუშავა მოსწავლეებისადმი მიდგომის ორიგინალური ხერხები.

„ჩემთან ერთად სწავლობდა კალენიკე ნაკაშიძე,– იგონებს ს. ბოლქვაძის ყოფილი მოსწავლე, შემდგომში მისი უახლოესი მეგობარი, ამჟამად ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორი პლატონ კეშელავა,– მეტად მორცხვი,გამოუსვლელი ყმაწვილი. მას ყოველი წვრილმანი აფრთხობდა. მასწავლებელი რომ გამოიძახებდა, ეს მისთვის მეხის დაცემას უდრიდა, იბნეოდა, პასუხსვერ ახერხებდა, თითქოს არც ნიჭს, არც ყურადღების ნიშანწყალი არ ჰქონდა. ასე იყო იგი ცნობილი.

მხოლოდ სერგო ბოლქვაძის თავისებურმა მიდგომამ გამოავლინა ამ უცნაური მოწაფის ნიჭი. არითმეტიკაშიაც და რუსული ენის შესწავლაშიაც კალენიკე პირველთაგანი გახდა. თუ კალენიკესათვის, საერთოდ, სწავლა ტანჯვა

იყო და ყოველი პასუხის გაცემა მასში ტკივილს იწვევდა, სერგო ბოლქვაძის გაკვეთილებზე ჩვენი კალენიკე სადად აზროვნებდა, ხალისით სწავლობდა... სხვა მასწავლებლებმა ვერ აუღეს ალდო კალენიკეს ხასიათს და მათთვის ბოლომდე გაუგებარი დარჩა ეს თავისებური ადამიანი. სერგო ბოლქვაძეს ვუმადლით ჩვენ – მისი მოწაფეები – ჩვენი ხასიათის კარგ თვისებებს, მაგალითად, ჯანსაღ თავმოყვარეობას: სერგო გამოიძახებდა მოწაფეს გულთბილი და ყურადღებიანი ინტონაციით. ამ ინტონაციაში იყო რაღაც გამამხნევებელი, შთამაგონებელი, რაც ზრდიდა ჩვენში ადამიანური ღირსების შეგნებას,თავმოყვარეობას,თავისთავში დაჯერებას,სიყვარულს სწავლისადმი. სამი წლის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა სერგო ბოლქვაძის გაანჩხლებისა და მით უმეტეს მოწაფის ფიზიკური დასჯისა“ (აჭარის ასსრ სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე № 192, გვ. 1-2).

სწავლების მეთოდების ძიების პერიოდში ს. ბოლქვაძე სერიოზულ ყურადღებას აქცევდა ექსკურსიების მოწყობას. სხვა მოწინავე მასწავლებლებთან ერთად იგი 1911 წლის 13 ივნისს აწყობს ჯვარცმისა და ჩოხოტაურის სკოლების მოსწავლეთა ექსკურსიას ნაქვში, ბათუმსა და ფოთში. ამ მოვლენას „სახალხო გაზეთი“ დადებითად გამოეხმაურა და თავის ფურცლებზე მოათავსა სტატია და ექსკურსანტების სურათი.

როგორც ამ ექსკურსიას, ისე შემდგომ ექსკურსიებსაც სხვა მოწინავე მასწავლებლებთან ერთად მეთაურობდა ს. ბოლქვაძე. ჯვარცმისა და ჩოხოტაურის სკოლების ინიციატივა ექსკურსიების მოწყობის საქმეში ახალი ამბავი იყო, რამაც გამოხმაურება ჰპოვა სხვა სოფლებში.

,,ს. ბოლქვაძის ინიციატივით, – იგონებს პ. კეშელავა, – 1911 წელს მოეწყო ჯვარცმისა და ჩოხოტაურის ორკლასიანი სასწავლებლების მოსწავლეთა და მასწავლებელთა

მრავალრიცხოვანი ექსკურსია ბათუმში, ჩაქვსა და ფოთში.

ნიგოითის ქედი ფეხით გადავიარეთ. ვნახეთ ჯუმათის მონასტერი. ამ მომხიბლავი მაღლობიდან პირველად გადავხედეთ რიონის ჭალებს. ჩვენს თვალწინ გადაიშალა წარმტაცი სანახაობა ზურმუხტოვანი ველებისა და მთებისა. სერგო მასწავლებელი თავისი სიტყვაძვირი, დინჯი და ფრთხილი საუბრებით აღრმავებდა ჩვენში სამშობლო ქვეყნის მრავალფეროვნებისადმი სიყვარულს. ხშირად იმეორებდა გრ. ორბელიანის სიტყვებს: „სხვა საქართველო სა არის...“

დავათვალიერეთ ბათუმი და მისი მომხიბლავი მიდამოები: ბოტანიკური ბაღი, სანაპირო; ვნახეთ გემები, გავისეირნეთ ზღვაზე ნავებით, გავეცანით ბათუმის წერა-კითხვის საზოგადოების სკოლას, ვნახეთ ჩაის ფაბრიკა ჩაქვში და სხვა მრავალი. თუ არ ვცდები, სადგურ სუფსიდან, თუ ნატანებიდან, ეტლით გავიარეთ კოლხიდა, ვეწვიეთ ფოთს, ავედით ფოთის მაღალ შუქურაზე, ვნახეთ ნიკო ნიკოლაძის კოშკი, პალიასტომის ტბა... მივედით რიონის შესართავთან...

ეს არ იყო ექსკურსია ჩვეულებრივი გაგებით. ეს იყო გეგმიანი და საქმიანი მოგზაურობა, რომელიც დიდად ნაყოფიერი იყო ჩვენთვის და იშვიათი მოვლენა იყო სოფლის ბავშვების ცხოვრებაში (აჭარის ასსრ სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე № 192, გვ. 5-6).

ს. ბოლქვაძე ენერგიულად სწავლობდა და ცხოვრებაში ატარებდა პროგრესულ პედაგოგიურ იდეებს.

„ღრმად ვსწავლობდი დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ სიმონის-ძე გოგებაშვილის იდეებს, მის დებულებებს თვალსაჩინოების როლის შესახებ სწავლებაში... ვიცნობდი დიდი პედაგოგის ი. კომენსკის დებულებას: „ასწავლო – ეს ნიშნავს ისწავლო“.

ცხოვრებაში ვატარებდი ი. პესტალოცის გამოცდილებას: „მე თვითონ ვსწავლობდი ბავშვებთან ერთად.“ (აჭარის ასსრ სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე № 192, გვ. 48).

ს. ბოლქვაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის გურიის მასწავლებელთა კორპორაციის[1] მუშაობაში. ამ ორგანიზაციაში ის შეეიდა 1907 წელს და ბოლომდე აქტიურ წევრად დარჩა, ხოლო კორპორაციის არსებობის უკანასკნელ წლებში მის მდივნად მუშაობდა. ს. ბოლქვაძის პირად არქივში ინახება ცნობა, რომელსაც ხელს აწერს კორპორაციის პირველი მდივანი – პოეტი ნოე ზომლეთელი (ქურიძე).

„...მე ვიცნობ მასწავლებელ სერგო ბოლქვაძეს 1906-1907 წლებიდან, როგორც ახალი სკოლისა და კულტურისათვის მებრძოლს, როგორც რევოლუციონერს სოციალისტური კულტურის ფრონტზე. 1907 წელს ჩემთან, ბათლომე მეგრელიძესთან, რაფიელ რამიშვილთან და სხვებთან ერთად ამხანაგი სერგო ბოლქვაძე იყო აქტიური წევრი „გურიის სახალხო მასწავლებელთა კორპორაციისა“, ხოლო გურიიდან ჩემი გადასახლების შემდეგ, – აღნიშნული კორპორაციის მდივანიც. მე მას გადავაბარე საქმეები. ის მოღვაწეობდა აგრეთვე სათეატრო ფრონტზე“ (აჭარის ასსრ სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე № 192, გვ. 48).

დროთა ვითარებაში კორპორაცია დაიშალა, მაგრამ სხვა მოწინავე მასწავლებლებთან ერთად ს. ბოლქვაძეს მუშაობა არ შეუწყვეტია ამ მიმართებით. 1912 წელს მასწავლებელთა კავშირმა კვლავ განაახლა მუშაობა გურიაში. ამის გამო 1913 წლის გაზეთ „მეგობრის“ 95-ე ნომერში გამოქვეყნდა სტატია, რომელშიაც ნათქვამი იყო: „...მთელ საქართველოს მოეფინა აზრი მასწავლებელთა საზოგადოების დაარსების შესახებ...“

შემდეგში მასწავლებელთა კავშირმა თავისი მუშაობა გადაიტანა ბათუმში. ორიოდე წლის შემდეგ ქუთაისის სახალხო სკოლის დირექტორის ვიშნევსკის თაოსნობით მოწვეულ იქნა

1 მასწავლებელთა კორპორაცია – მასწავლებელთა ორგანიზაცია, კავშირი, რომელიც გურიაში დაარსდა 1905 წლის რევოლუციის დღეებში. ამ კავშირის ამოცანას შეადგენდა ბრძოლა სახალხო განათლების საქმეში ხიახლის შეტანისათვის.

გურიისა და აჭარის სკოლების მასწავლებელთა კონფერენცია, რომლის წინა დღეებში ს. ბოლქვაძეს „ბათუმის გაზეთში“ გამოუქვეყნებია სტატია სათაურით: „მომზადებული შევხვდეთ მასწავლებელთა კრებას“. სტატიის ავტორი ხაზს უსვამდა იმ ძირითად საკითხებს, რომლებზედაც მასწავლებელთა კრებას ყურადღება უნდა გაემახვილებინა.

კონფერენციამ მთელ რიგ აქტუალურ საკითხებზე მოისმინა მოხსენებები. მასწავლებელი ს. ბოლქვაძე გამოსულა მოხსენებით თემაზე: „თვალსაჩინოება ბუნებისმეტყველების სწავლებაში“. მოხსენებას ინტერესი გამოუწვევია დამსწრეთა შორის.

პედაგოგიური მოღვაწეობის რევოლუციამდელ პერიოდში ს. ბოლქვაძემ დიდი მუშაობა გასწია სწავლებაში ქალების ჩაბმის საქმეში. იგი სავსებით იზიარებდა და პრაქტიკულად ახორციელებდა უშინსკის აზრს სწავლაში ვაჟებისა და ქალების თანაბარი უფლების შესახებ.

1902-1903 და შემდგომ წლებშიც გურიის სკოლებში მოსწავლე ქალების რიცხვი უმნიშვნელო იყო. მაშინდელი მოწინავე მასწავლებლების ენერგიული მუშაობის შედეგად 1910-1914 წლებში მათი რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1914 წელს „ბათუმის გაზეთი“ სამართლიანად აღნიშნავდა: „...გურული ასე მსჯელობდა: „ციცას რად უნდა სწავლა, მისი საქმეა ოჯახს მოუაროს, სადილ-ვახშამი აკეთოს და შვილები ზარდოს“. ახლა ეს ასე არ ითქმის, გურულმა დაანება თავი ამ გლეხურ შეხედულებას ...წინათ თუ მოსწავლე ქალებს იშვიათად ნახავდით, ახლა გვარიან ნაწილს მოსწავლეებისას ესენი შეადგენენ. ზოგიერთ შორეულ სკოლებში კი მოსწავლე ქალების რიცხვი თითქმის ეთანაბრება ვაჟებისას. ეს სასიხარულო მოვლენაა“ („ბათუმის გაზეთი“, 1914 წ., №17).

როგორც ამ საკითხში, ისე მთელს სასწავლო-საალმზრდელო მუშაობაში ნამდვილი გარდატეხა მხოლოდ საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ მოხდა.

ს. ბოლქვაძის შემოქმედებით პედაგოგიურ მუშაობასაც საბჭოთა ხელისუფლებამ შეუქმნა გაშლა-გაფართოების სრული შესაძლებლობა. მხოლოდ საბჭოთა პერიოდში შეძლო მან მაქსიმალურად განეხორციელებინა დიდი ხნის ოცნება – აღეზარდა ფიზიკურად ჯანსაღი,გონებრივად განვითარებული და ზნეობრივად სპეტაკი ახალგაზრდა პატრიოტები, იგი თავის პედაგოგიურ მოღვაწეობაში ზნეობრივ აღზრდას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. საგსებით იზიარებს გამოხენილი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ლუარსაბ ბოცვაძის დებულებას, რომ „თუ კი ზნეობა არ ამშვენებს რომელიმე კაცის სწავლა-ცოდნას, ეს კაცი მაშინ საზოგადოების მხოლოდ მავნე წევრად უნდა ჩაითვალოს“ („მწყემსი“, 1893 წელი, №8, გვ. 6).

განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ს. ბოლქვაძე ქართული და რუსული ენების სწავლების საკითხებს. მას დაწერილი აქვს მთელი რიგი მეთოდური ხასიათის წერილები და მითითებანი. ასეთია,მაგალითად: „წერა-კითხვის სწავლება ანალიზურ-სინთეზური ბგერითი მეთოდით“, „ქართული ენის გაკვეთილები I-ლ და მე-2 კლასებში“, „თვალსაჩინოება რუსული ენის სწავლების დროს“, „Борьба за культуру речи в XI классе Грузинской школы“, „სალექსიკონო მუშაობა რუსულ ენაში ქართული სკოლის მოსწავლეებთან“,„სკოლის შინაკონტროლი“, „Изучение басен И. А. Крылова в грузинской школе“, „К вопросу об изучении творчества Н. В. Гоголя в грузинской школе“ და სხვ.

1936 წელს ს. ბოლქვაძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მეთოდური ხასიათის კრებულის „მასწავლებლის თანამგზავრის“ გამოცემაში. ამ კრებულში იგი სამართლიანად წერს: „საბჭოთა სკოლა,რომელიც მიზნად ისახავს მოზარდთა აღზრდას, სარგებლობს წარსულის გამოცდილებით და კრიტიკულად ითვისებს მას.

საკითხი, თუ როგორ უნდა ვასწავლოთ, მჭიდროდაა

დაკავშირებული საკითხთან, თუ რა უნდა ვასწავლოთ. ამისათვის საბჭოთა სკოლაში სწავლება უნდა წარიმართოს ისე, რომ დააკმაყოფილოს მოთხოვნები:

1. მოსწავლეთა მიერ შეგნებულად და საფუძვლიანად დაუფლება სისტემატური ცოდნისა, თეორიისა და პრაქტიკის ერთობლიობის საფუძველზე;

2. მასწავლებლის ხელმძღვანელი როლი მოსწავლეთა შეგნებული აქტივობის საფუძველზე;

3. მოწაფის დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევის განმტკიცება;

4. კოლექტივისტთა აღზრდა;

5. ეფექტურობა (შეთვისებული მასალის სიმკვიდრე, დროის მაქსიმალურად გამოყენება, საგნის მაღალხარისხოვნად დაძლევა და სხვ.).

სწავლების მეთოდების მიმართ უპირველესი მოთხოვნილება მათი სწორად გამოყენებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველი მეთოდი ცუდი აღმოჩნდება. ამ დარგში მასწავლებელი ხელოვანი უნდა იყოს".

1949 წელს, როცა ს. ბოლქვაძე აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორად მუშაობდა, მან შეისწავლა რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობა აჭარის სკოლებში და თავისი შეხედულებანი ამ საგნის სწავლების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ჩამოაყალიბა მეთოდური ხასიათის სტატიაში – „ჩვენი სკოლების ღვიძლი საქმე".

ამ სტატიაში ს. ბოლქვაძე ყურადღებას ამახვილებს უმცროს კლასებში რუსული ენის სწავლებაზე, რადგან „აქ იწყება ლექსიკური განყოფილება და საანბანო პერიოდი, სწავლების ამ პროცესში მასწავლებლის მიერ დაშვებულ შეცდომას მოსწავლეები იმეორებენ და დიდხანს რჩებათ მეხსიერებაში („საბჭოთა აჭარა", 1949 წ. № 15, გვ. 3).

„საგნის ჭეშმარიტად სწავლებისათვის აუცილებელია, –

აღნიშნავს ს. ბოლქვაძე,– მასწავლებლის ავტორიტეტი, რაც საგნის ცოდნისა და სწავლების მეთოდების სრულყოფილ ცოდნაში მდგომარეობს“.

ამავე სტატიაში ს. ბოლქვაძე მოითხოვს განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას სოფლის სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისადმი, მათთვის კონკრეტული დახმარების აღმოჩენას.

თავის მეთოდურ წერილში „რუსული ენის სწავლების ზოგიერთი საკითხი“ იგი ავითარებს იმ აზრს, რომ „რუსული და ქართული გრამატიკული ფორმების შედარება რუსული ენის შესწავლის საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ შედარების ზოგიერთი ელემენტი შეიძლება გამოვიყენოთ გრამატიკის გარეშეც, პრაქტიკულად... სწორედ გაკვეთილის სასაუბრო ნაწილი მე-3 კლასიდანვე უნდა დაეთმოს ასეთი სახის პრაქტიკულ ვარჯიშს, საგნის თვლას რუსულად ქართულ თვლასთან შეფარდებით და სხვ.“ („საბჭოთა აჭარა“, 1956 წ. 30 ოქტომბერი, № 215).

ს. ბოლქვაძის მეთოდურ წერილებში ხაზგასმითაა აღნიშნული სკოლის შინაკონტროლის მაღალ დონეზე დაყენების აუცილებლობა. ჯერ კიდევ 1929 წელს, როცა იგი მუშაობდა ქ. ბათუმის დ. ჭონქაძის სახელობის არასრული საშუალო სკოლის გამგედ, მთელი სისრულით აყენებდა სასკოლო შინაკონტროლის საკითხს და იცავდა ასეთ აზრს: „მასწავლებლებმა და სკოლის დირექციამ ისე ჰარმონიულად უნდა წარმართონ მუშაობა, რომ უზრუნველყონ მოსწავლეებში ჰუმანური გრძნობების გამომუშავება, ზნეობრივი სიმტკიცე, პიროვნებისა და საზოგადოების ღირსების დაცვა-დაფასება, ზრდილობა, მორიდება, თავმდაბლობა, ერთი სიტყვით, აღზრდა სრული პატრიოტიზმის სულისკვეთებით“.

თავის მეთოდურ წერილებში ს. ბოლქვაძე ხაზს უსვამს სკოლისა და ოჯახის, მასწავლებელთა და მშობელთა მტკიცე

კავშირის საჭიროებას, რადგან ბავშვის პირველი მასწავლებელი მშობელია, ხოლო აღმზრდელობითი ზეგავლენის წრე – ოჯახი. ამახვილებს რა ყურადღებას სკოლისა და ოჯახის მჭიდრო კავშირზე, მას გამოჰყავს დასკვნა, რომ სკოლისა და ოჯახის სისტემატური და საქმიანი კავშირი ქმნის მომავალი თაობის კომუნისტურად აღზრდის სასურველ პირობებს.

რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხებზე ს. ბოლქვაძე 1950-1951 წლებში ადგილობრივი პრესის ფურცლებზე აქვეყნებს კრიტიკული ხასიათის წერილებს: „Улучшить преподавание русского языка в школах района“, „Изучим язык великого русского народа“ და სხვ.

ამ წერილებში ავტორი აღნიშნავს დაბრკოლებებს, რომლებიც ხელს უშლიან რუსული ენის სწავლების გაუმჯობესებას და აყალიბებს კონკრეტულ ღონისძიებებს მათ დასაძლევად. მისი მეთოდური წერილები საგრძნობ დახმარებას უწევდნენ და უწევენ სოფლის სკოლების მასწავლებლებს.

ს. ბოლქვაძეს მნიშვნელოვანი ამაგი მიუძღვის რუსული ენის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეშიც. 1945 წლიდან იგი რუსული ენის მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე ყოველწლიურად კითხულობს ლექციებს ამ საგნის სწავლების მეთოდიკის შესახებ.

ს. ბოლქვაძე ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობასთან ყოველთვის მოხდენილად ათავსებდა საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობას.

პედაგოგიური მოღვაწეობის ასპარეზზე გამოხვლისთანავე სხვა მოწინავე ინტელიგენტებთან ერთად იგი აქტიურად ჩაება კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში. 1907 წლის ზაფხულში ს. ბოლქვაძემ ჩოხატაურში ჩამოაყალიბა სცენისმოყვარეთა წრე, რომელმაც პირველი წარმოდგენა გამართა ფარცხმის ორკლასიანი სასწავლებლის შენობაში. წარმოდგენილ იქნა ვ. გუნიას დრამა „და-ძმა“.

პირველმა წარმოდგენამ საერთო მოწონება დაიმსახურა.

მალე ხვენისმოყვარეთა წრე საგრძნობლად გაიზარდა. 1908 წლისათვის იგი 25 კაცზე მეტს ითვლიდა. ამავე წელს დასმა წარმოდგენები გამართა ჩოხატაურში, ხიდისთავში, ბახმაროში, ბახვში, შემოქმედში, ოზურგეთში და სხვაგან.

მოხალისეთა დასი მოსახლეობას კულტურულ მომსახურებას უწევდა უფასოდ. ხვენისათვის აუცილებელი მოწყობილობა, დეკორაციები და სხვა რამეები მზადდებოდა დასის წევრების მიერ. ამ დასის ხელმძღვანელი ს. ბოლქვაძე იგონებს: „...პარმენ ჭანიშვილმა[1] ფარდისა და დეკორაციის დასახატავად მოსკოვიდან გამოიწერა საღებავები და რამდენიმე კვირა იმუშავა დეკორაციის დახატვაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს მისი ხელობა არ იყო, ყველაფერს აკეთებდა საქმის სიყვარულით. ცხადია, ხელობა სრულყოფილი არ გამოუვიდა, როგორც ამის შესახებ ამხანაგები მეგობრულ გამოცანებს ადგენდნენ: „რა არის ისეთი საგანი, რომელიც არასდროს არ შრება?“ მეორენი პასუხობდნენ: „პარმენის დახატული ფარდა“ (აჭარის ასსრ სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე № 192, გვ. 69).

დრამატული წრე ს. ბოლქვაძის ინიციატივითა და პ. ჭანიშვილის ხელმძღვანელობით უშვებდა ხელნაწერ ჟურნალს – „ლენგერა“ (გურული დიალექტია, ნიშნავს „სახრეს“). ჟურნალში ათავსებდნენ სახელდახელო წერილებს მოხალისეთა დასის მუშაობის შესახებ. აქვე თავსდებოდა ამა თუ იმ წარმოდგენის ორგვლივ მშრომელთა შთაბეჭდილებანი და სხვ.

1913-1914 წლისათვის ხვენისმოყვარეთა ეს დასი საკმაოდ გაძლიერდა. მას შემოემატა ახალი ძალები, მათ შორის

---

1 პ. ჭანიშვილი – ცნობილი პუბლიცისტი, თანამშრომლობდა გაზეთებში: „მეგობარი“, „ჩვენი ერი“ და სხვ. წერილებს ათავსებდა ფსევდონიმებით: „ომეგა“, „შინაური“. ამჟამად მუშაობს ხოხუმის პედსასწავლებელში.

ნიჭიერი ახალგაზრდა მირიან ჩხიკვიშვილი.[1]

ამ დროს დრამატულ წრეს თავის რეპერტუარში ჰქონდა: „ქრისტინე“, „სოფლის გმირები“, შიუკაშვილის „მეგობრობა“, „გამხმარი ფოთოლი“, „გამცემი“, შ. დადიანის „ბატონი და ყნა“, „შენი ჭირიმე“, „ბებეჭკორი“ და სხვ.

წრის მუშაობას გაზეთებიც გამოეხმაურნენ. „ბათუმის გაზეთის“ 1914 წლის 15 მაისის ნომერში ვრცელი რეცენზიაა მოთავსებული ს. ბოლქვაძის მიერ ჩამოყალიბებული დრამატული წრის მიერ გამართული წარმოდგენის („სოფლის გმირები“) შესახებ. გაზეთი განსაკუთრებით კარგ შეფასებას აძლევს ბოლქვაძის თამაშს. „...სპირიდონი (მსახიობი ს. ბოლქვაძე) ნამდვილი განსახიერება იყო მადალი სინდისით და მისწრაფებით აღჭურვილი მცირიშვილისა. ბოლქვაძის მოხდენილი, როგორც ყოველთვის, თამაში, მიმიკა და დრამატული კილო ნამდვილი გრძნობის ამშლელი რამ იყო“. მსგავს რეცენზიებს ბეჭდავდნენ ქუთაისისა და სხვა გაზეთებიც.

1913 წელს ჩოხატაურის სცენისმოყვარეთა ჯგუფმა მოაწყო ლადო მესხიშვილის საიუბილეო საღამო. ხერგოს წილად ხვდა იუბილართან ეთამაშა პიესაში „კრეჩინსკის ქორწინება“.

საიუბილეო საღამო დიდი ინტერესით ჩატარებულა და დიდძალი ხალხიც დასწრებია. მრავალი სიტყვა წარმოუთქვამთ, რომელთა შორის აღსანიშნავია ჩოხატაურის სცენისმოყვარეთა მიმართვა ლადო მესხიშვილისადმი: „შენ მთელი შენი არსებით ხელოვანი ხარ, შენ შენის

---

1 მ. ჩხიკვიშვილი – მელქისადეგ ჩხიკვიშვილის ვაჟი. მელქისადეგი დაინტერესებული იყო თეატრით და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ს. ბოლქვაძის ინიციატივით ჩამოყალიბებულ დრამატულ წრეში თავისი ცოლით სონათი და ორი ვაჟით – ბარნაბითა და მირიანით. მირიან ჩხიკვიშვილი ამჟამად ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეა, ხელმძღვანელობს აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს.

განუსაზღვრელი ნიჭით ქართული თეატრი ხარ, და როცა ჩვენ ასეთ ბუმბერაზს იუბილეს ვუხდით, ამავე დროს ჩვენი სათეატრო კულტურის დღესასწაულს აღვნიშნავთ“ (აჭარის ასსრ სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე № 192, გვ. 70).

გამოთხოვებისას სახელოვან იუბილარს მოხალისე სცენისმოყვარეთა ჯგუფისათვის მიუმართავს შემდეგი სიტყვებით: „განაგრძეთ მუშაობა თქვენ დიდ საქმეს ემსახურებით. თეატრი ცხოვრების სარკეა,რომელშიაც ხალხი თავის სახეს ხედავს. ის სკოლაა და ვინც მას ემსახურება – მასწავლებელი,თან ხელოვანი მასწავლებელი“ (აჭარის ასსრ სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე № 192, გვ. 71).

სერგო ბოლქვაძის ხელმძღვანელობით შექმნილი თვითმოქმედი დრამატული წრე წლების მანძილზე გადაიქცა მტკიცე თეატრალურ კოლექტივად. შემდგომი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით, 1921 წლიდან ს. ბოლქვაძე ინიშნება ჩოხატაურის თეატრის კომისრად. ამ თანამდებობაზე მან იმუშავა 1922 წლის ბოლომდე.

პლატონ კეშელავა თავის მოგონებაში წერს: „სერგო ბოლქვაძის პოპულარობას ხელს უწყობდა მისი ენერგიული მუშაობა თეატრში და პრესაში. თეატრში სერგო იყო არტისტიც, რეჟისორიც, ორგანიზატორიც... ნათლად მახსოვს მის მიერ დადგმული წარმოდგენებიც – „და-ძმა“ ვალ. გუნიასი, „გულჯავარი“ აქვსენტი ცაგარლისა, სერგოს მონაწილეობით. მახსოვს აგრეთვე სერგო ბოლქვაძის თეატრის მსახიობი ქალები – ვენერა ძნელაძე და ბერძენიშვილი, კარგი დეკორაციები, სერგოს დავალებით დახატული მაშინ კიევის სამხატვრო ინსტიტუტის სტუდენტის, შემდეგ ცნობილი მხატვრის შალვა ანტონის-ძე ძნელაძისა. მახსოვს ოვაციები წარმოდგენის შემდეგ. ეს ოვაციები მიეკუთვნებოდა სერგოს, რადგან ის იყო ნამდვილი ბურჯი თეატრის საქმისა ჩვენს რაიონში.

მე მაგონდება ერთი შემთხვევა, როცა სერგო რუხაძის

ლამაზი ხელით, ლურჯი და წითელი ფანქრით დაწერილი დიდი აფიშა ბოქაულის ბრძანებით ჩამოგლიჯა ჩაფარმა ჩვენი სკოლის ეზოში და წარმოდგენა აკრძალეს. წარმოდგენის მონაწილენი: სერგო ბოლქვაძე, სერგო რუხაძე და სხვები ბოქაულთან წაიყვანეს და გაკვეთილები გაგვიცდა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო გამონაკლისი და იშვიათი შემთხვევა მაშინ, მაგრამ სერგო ბოლქვაძის ჩამოშორება თეატრის საქმისგან ვერ მოახერხეს" (აჭარის ასსრ სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე № 192, გვ. 7).

ყოველგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, ს. ბოლქვაძე ნაყოფიერად მოღვაწეობდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ 1922 წელს კულტურულ-საგანმანათლებლო დარგში ენერგიული მუშაობისათვის ხოხატაურის რევკომის დადგენილებით მას გადაუხადეს სასცენო მოღვაწეობის 15 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე.

იმდენად ნაყოფიერი იყო ს. ბოლქვაძის რეჟისორობითა და მონაწილეობით მოქმედი დრამატული წრის მუშაობა, რომ როდესაც სადღესასწაულო ვითარებაში აღინიშნა ქართული თეატრის 50 წლისთავი, ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება" სპეციალურ ნომერში გამოქვეყნდა წერილი „ხოხატაურის თეატრის ისტორიიდან", სადაც, როგორც რეჟისორი, დასახელებულია სერგო ბოლქვაძე.

1922 წლიდან ს. ბოლქვაძე თავის ნაყოფიერ მუშაობას განაგრძობს ქალაქ ბათუმში. აქაც იგი მისთვის ჩვეული ენერგიით ებმება საზოგადოებრივ საქმიანობაში. პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ხელმძღვანელობს ქართული ლეგიონის დრამატულ წრეს, რკინიგზის კლუბის დრამწრეს, ხოლო 1924 წლიდან ვხედავთ მასწავლებლის სახლთან არსებული დრამატული წრის ხელმძღვანელად. ამ პერიოდში ს. ბოლქვაძესთან ერთად მასწავლებლის სახლის დრამატულ წრეში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ პოეტი ნესტორ მალაზონია, ამჟამად დამსახურებული მასწავლებელი მარი

ლოლუა, მასწავლებელი ანა გიორხელიძე და სხვები.

ს. ბოლქვაძე ამ წრეს ხელმძღვანელობდა 1932 წლამდე. მასწავლებლის სახლში გამართული საღამო-წარმოდგენები დიდ ინტერესს იწვევდა.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუაობას ს. ბოლქვაძე ეწეოდა პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად. „დრამატულ წრეში მუშაობა,– წერს იგი,– მამხნევებდა,ხალისსა და ძალას მმატებდა პედაგოგიური მოღვაწეობისათვის. პედაგოგიური მოღვაწეობა კი მასულდგმულებდა მასობრივ მუშაობაში“.

1945 წელს ს. ბოლქვაძეს მიენიჭა აჭარის ასსრ სკოლის დამსახურებული პედაგოგის წოდება; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებლობით იგი დაჯილდოებულ იქნა მედლით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

თავისი უმწიკვლო და ენერგიული მუშაობით ს. ბოლქვაძემ განათლებისა და კულტურის დარგში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და დიდი ავტორიტეტი მოიპოვა.

მისი მეგობარი, ამჟამად ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი 1949 წელს ს. ბოლქვაძეს სწერდა: „ძმაო ხერგო... პირფერობა რად გინდა, შენი კეთილშობილი ინტელექტი ჩემს მეხსიერებაში დრმად ზის... გამახსენდა ჩვენი დრო ჩოხატაურში... შენი გულღია ხუმრობა,გონივრული სიტყვები მასწავლებელთა კრებაზე, ნიჭიერი მსახიობობა... გრძელი ბიჯით ჯვარცმისაკენ მიმავლობა დაბინდებისას... და სხვ.“ (აჭარის ასსრ სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე № 192, გვ. 2).

ს. ბოლქვაძის მრავალი მოწაფე დღეს სახელოვანი საზოგადო მოღვაწე და მომავალი თაობის აღმზრდელია.

ს. ბოლქვაძემ ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობით სამართლიანად დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება. მისი ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობა

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ ჯეროვნად დააფასა. იგი 1949 წელს დაჯილდოებული იქნა უმაღლესი ჯილდოთი – ლენინის ორდენით. ამ მოვლენის გამო სერგო წერდა გაზეთში: „უსაზღვროა ის სიხარული, რომელსაც განვიცდი ლენინის ორდენით ჩემი დაჯილდოების გამო.

ოთხი ათეული წლის წინათ დავიწყე მუშაობა ჯვარცმის (ამჟამად ჩაისუბნის) ორკლასიან სასწავლებელში,ჩოხატაურის რაიონში.

მაშინდელ დუხჭირ პირობებში ვინ წარმოიდგენდა, რომ მასწავლებლის შრომა ოდესმე ასე დაფასდებოდა. სახალხო მასწავლებლისადმი ასეთი ყურადღება,მასწავლებლის შრომის ასე დაფასება შესაძლებელია მხოლოდ სოციალიზმის მზით გამთბარ ქვეყანაში, სადაც სახალხო მასწავლებელი დგას იმ სიმაღლეზე,რომელზედაც იგი „არასოდეს არ მდგარა,არ დგას და არც შეიძლება იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში“... მაღალი ჯილდო მავალებს,კიდევ უფრო ენერგიულად ვიმუშაო და ბოლომდე გავამართლო პარტიისა და მთავრობის ნდობა, ყოველთვის ვიდგე სახალხო განათლების მოწინავე მუშაკთა რიგებში“ („საბჭოთა აჭარა“, 1949 წ. 25/9).

სერგო ონისიმეს-ძე ბოლქვაძე პირნათლად ანაღდებს თავის სიტყვას; დღესაც ახალგაზრდული ენერგიით ემსახურება მომავალი თაობის კომუნისტური აღზრდის უაღრესად კეთილშობილურ საქმეს.

Иродион Иванович Малазония

Серго Болквадзе

(на Грузинском языке)
Государственное издательство
Батуми - 1957